

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ
2011 წლის 12 ივლისს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა**

- **ბალტაჯი ბულგარეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №12919/04)**

აპლიკანტი ვიახესლავ პეტროვიჩ ბალტაჯი მოლდოვას მოქალაქეა, დაიბადა 1965 წელს და ამჟამად ცხოვრობს სანქტ-პეტერბურგში (რუსეთი). კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ 2003 წელს იგი გამოაძევეს ბულგარეთის ტერიტორიიდან, სადაც ის კანონერად ცხოვრობდა თავის ოჯახთან ერთად 1994 წლიდან. კონვენციის მე-13 მუხლსა და მე-7 ოქმის I მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ასევე აღნიშნავს, რომ ბულგარეთის კანონმდებლობამ არ მისცა მას საშუალება რაიმე ეფექტური ღონისძიების გამოყენებისა, რათა დაეცვა მას თავისი უფლება და რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა რაიმე პროცედურული გარანტიებით, რომლის მეშვეობითაც იგი თავს აარილებდა ქვეყნიდან გაძევებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, მე-13 მუხლი და მე-7 ოქმის I მუხლი. სამართლებრივი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს დაეკისრა 10,000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 2,900 ევროს გადახდა მატერიალური ხარჯების დასაფარად.

- **ბაკლუნდი ფინეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №36498/05) სამართლებრივი დაკმაყოფილება**
- **გრიონმარკი ფინეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №17038/04)**

აპლიკანტები არიან ფინეთის მოქალაქეები, რომლებიც ქორწინების გარეშე დაიბადნენ. მარიტ გრიონმარკი დაიბადა 1968 წელს და სტივენ ბაკლუნდი დაიბადა 1937 წელს. 2010 წლის 6 ივლისის განჩინებით სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი აპლიკანტების საჩივრებთან დაკავშირებით, რადგან მათი მოთხოვნა მამობაზე არ დაკმაყოფილდა 2005 წლის აპრილში და 2003 წლის ნოემბერში ხანდაზმულობის გამო. განსაკუთრებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ფინეთში მამობის სამართლებრივი აღიარებისათვის საჭირო ვადის დადგენა არ უნდა მოხდეს ავტომატურად და კონკრეტული საქმის გარემოებების არსებობის გათვალისწინებლად. თუმცა, მაშინდელ განჩინებაში კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენების საკითხი, რომელიც სამართლებრივ დაკმაყოფილებას გულისხმობს, გადაიდო. ახლანდელ განჩინებაში სასამართლომ თითოეულ განმცხადებელს მიაკუთვნა 5,000 ევრო ხარჯების დასაფარად.

- **ფიქსი საფერძნეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №1001/09)**

აპლიკანტები კარლოს ფიქსი, გეორგიოს ფიქსი, იაკინთი ფიქსი და კასანდრა-მოშა ფიქსი, ოთხივე არიან საბერძნეთის მოქალაქეები, დაიბადნენ 1927, 1933, 1930 და 1957 წლებში და ცხოვრობენ ათენში (საბერძნეთი). ისინი არიან დიდი საცხოვრებელი სახლისა და მისი მიმდებარე პარკის მესაკუთრეები, რომლისა გამოყენება ან ექსპლოატაცია მათ არ შეუძლიათ, რადგან აღნიშნული საკუთრება დასახლებულია, როგორც „ისტორიული ძეგლი“. აღნიშნული

გადაწყვეტილება აპლიკანტებმა გაასაჩივრეს ადგილობრივ სასამართლოებში. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილსა და მე-13 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებლები ჩივიან საქმის განხილვების გაჭიანურების თაობაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და მე-13 მუხლი. სამართლებრივი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს დაეკისრა 7,000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 1,000 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარად.

- **თანოპულუ საბერძნეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №65155/09)**

აპლიკანტი სპირიდულა თანოპულუ საბერძნეთის მოქალაქეა, დაიბადა 1935 წელს და ცხოვრობს სიდნეიში (ავსტრალია). 1956 წელს მისი კუთვნილი მიწა ექსპროპრიაციას დაქვემდებარა, თუმცა სანაცვლოდ არანაირი კომპენსაცია არ მიუღია. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით იგი ჩივის საბერძნეთის ხელისუფლების წარმომდგენლების მიერ მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ გაცემულ უარზე, კერძოდ კი 2009 წელს უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღუსრულებლობის თაობაზე, რომელიც განმცხადებლის სასარგებლოდ გადაწყდა მისი კუთვნილი მიწის ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. სამართლებრივი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს დაეკისრა 12,000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- **პანიკი უნგრეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №12748/06)**

აპლიკანტი ტიბორ პანიკი უნგრეთის მოქალაქეა, დაიბადა 1954 წელს და ცხოვრობს ტატაში (უნგრეთი). განმცხადებელი პროფესიით ადვოკატია. მან განაცხადა, რომ სასამართლო განხილვები, რომელიც 2002 წელს მისმა ყოფილმა დამქირავებელმა პირმა აღძრა მის წინააღმდეგ, იყო მიკერძოებული. განსაკუთრებით იგი აღნიშნავდა, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე სააპელაციო სასამართლოში დაინტერესებულ პირს წარმოადგენდა, რადგან ის და მისი დამქირავებელი ყოველდღიურად ერთად მუშაობდნენ. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. სამართლებრივი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს დაეკისრა 3,800 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- **მაიოლი იტალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №18290/02)**

აპლიკანტები რომანო მაიოლი და მარია ტერეზა მაიოლი იტალიის მოქალაქეები არიან, დაიბადნენ 1936 და 1939 წლებში და ცხოვრობენ რავენაში (იტალია). კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლზე დაყრდნობით ისინი ჩივიან, რომ ექსპროპრიაციის პროცესის ნებართვა, რომელიც მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთს შეეხო გაჭიანურდა, რასაც თან ახლდა აკრძალვები მშენებლობაზე, ძალაში შევიდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს მდგომარეობა უტოლდება დე-ფაქტო ექსპროპრიაციას, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი. სამართლებრივი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს დაეკისრა 150,000 ევროს გადახდა არამტკიცებელი ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 5,000 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარად.

- **ანტონი რუმინეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №36632/04)**

აპლიკანტი გიორგი ანტონი რუმინეთის მოქალაქეა, დაიბადა 1960 წელს. იგი 1994 წლიდან დაპატიმრებულია და სასჯელს იხდის კრაიოვას ციხეში. კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ 1999 და 2004 წლებში პატიმრების მხრიდან მის მიმართ განხორციელდა არაადამიანური მოპყრობა ციხის თანამშრომლების მონაწილეობით, რაზედაც ჩატარდა არაეფექტური გამოძიება.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. სამართლებრივი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს დაეკისრა 4,000 ევროს გადახდა არამტკიცებელი ზიანის ასანაზღაურებლად.

- **ჰიდირ დურმაზი თურქეთის წინააღმდეგ №2 – (განაცხადი №26291/05)**

აპლიკანტი ჰიდირ დურმაზი თურქეთის მოქალაქეა, დაიბადა 1954 წელს და ცხოვრობს იზმირში (თურქეთი). 1998 წელს მას მიუსაჯეს 14 წლითა 7 თვით პატიმრობა. 2004 წელს გამოქვეყნდა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2005 წლის ივნისში, რომელიც მიხედვითაც ბატონი დურმაზის მიერ ჩადენილი დანაშაული ითვალსწინებდა უფრო მსუბუქ (ნაკლებ) სასჯელს, ვიდრე მას მიესაჯა ძველი კოდექსით. ამ გარემოების გათვალისწინებით აპლიკანტის განაჩენის აღსრულება გადაიდო. კონვენციის მე-5 მუხლის I და V ნაწილებზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ ის არ გაათავისუფლეს 10 დღის მანძილზე, ვიდრე განაჩენის აღსრულება არ გადაიდო და მას ჰქონდა უფლება მოეთხოვა კომპენსაცია მიყენებული ზიანის გამო, რაც მისი აზრით უკანონო პატიმრობაში ყოფნით მიადგა.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I და V ნაწილი. სამართლებრივი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს დაეკისრა 9,000 ევროს გადახდა არამტკიცებელი ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 2,000 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარად.

ანალოგი საქმეები

- **მაკრი და სხვები იტალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №14130/02)**

აპლიკანტები ჩივიან, რომ ოფიციალური ექსპროპრიაციისა და კომპენსაციის გარეშე ხელისუფლების მიერ მათი მიწების გადაღება არაკანონიერი ქმედება იყო. ისინი ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

- **შაჰიდე კორკმაზი თურქეთის წინააღმდეგ (განაცხადი №31462/07)**

აპლიკანტი ჩივის, რომ ხელისუფლების მხრიდან გადაიდო კომპენსაციის გადახდა მისი კუთვნილი მიწის ექსპროპრიაციის სანაცვლოდ, რომელიც სტამბოლის რაიონში მდებარეობდა. აღნიშნული კომპენსაციის მიღებლობით მას მიაღდა ფინანსური ზარალი მაღალი ინფლაციისა და დაბალი საპროცენტო განაკვეთის გამო სახელმწიფოს დავალიანებაზე. აპლიკანტი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

გაჭიანურებული საქმეები

- **არედე რუივო პორტუგალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №26655/09)**
- **სოარესი პორტუგალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №42925/09)**

ორივე საქმეზე განმცხადებლები ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი მათი სამოქალაქო საქმეების განხილვის გაჭიანურების გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ ორივე საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, ხოლო მეორე საქმეზე ასევე დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

რევიზია

- **კარანფილი თურქეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №29064/06)**

2010 წლის 30 ნოემბრის განჩინებაში სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი ბატონი კარანფილის სამოქალაქო სარჩელის გაჭიანურებით განხილვის გამო. აპლიკანტის ადვოკატმა მოითხოვა აღნიშნული განჩინების გადასინჯვა, რადგან

მისი კლიენტი გარდაიცვალა და შესაბამისად ვერ მოხერხდებოდა მის სახელზე განჩინების აღსრულება, რადგან განმცხადებელი გარდაიცვალა მანამდე, ვიდრე სტრასბურგი გამოიტანდა თავის განჩინებას. დღევანდელი განჩინებით სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთის მთავრობამ განმცხადებლის მემკვიდრეებს უნდა გადაუხადოს 8,400 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.